DIE BEWÄHRTE FÜR INNEN

ინტერიერის ნაცადი

ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული კლასიკა

კარგი დაფარვის უნარის მქონე მქრქალი დისპერსიული საღებავი თქვენს სახლში მრავალმხრივი გამოყენებისათვის. გამძლე და დამაჯერებელი ათწლეულების განმავლობაში - ნაცადი კლასიკა.

პროდუქტის აღწერა

შეფუთვა:

2,5; 5,0; 10; 15ლ

პროდუქტის უპირატესობები:

სწორი არჩევანი:
- კლასიკური მქრქალი ზედაპირი
- ცვეთამედეგი

თვისებები:

- წყალში ხსნადი
- ეკოლოგიურად სუფთა
- მარტივი დამუშავება
- თაღებისა და წიბოების საუკეთესო დაფარვა
- დიდი დატვირთვების გამძლეობა

შესაფერისი ზედაპირები:

მინერალური ზედაპირები
- კირ-ცემენტის ბათქაშები
- თაბაშირის ბათქაშები / თაბაშირ-მუყაო
- კირქვიშის ქვა
- აგური / ბეტონი

ძველი მზიდუნარიანი დანაფარები
- დისპერსიული საღებავები; დისპერსიული ფითხები; დისპერსიული ბათქაშები
- სტრუქტურული შპალერი

ფერი / შეფერადება:

პროდუქტის ფერი: თეთრი

პროდუქტი შეფერადება შესაძლებელია ხელით Alpina Kolorant-ის ან Alpina Tint-ის საშუალებით.

სიპრიალის ხარისხი:

მქრქალი

ხელსაწყოები / ტემპერატურა:

კარგად ამოურიეთ საღებავი. შეასრულეთ დაფარვა ფუნჯით, გორგოლაჭით ან შემფრქვევით.
გამოიყენეთ არანაკლებ 5°C ტემპერატურის (ჰაერი და ზედაპირი) პირობებში.
გამოყენების შემდეგ იარაღები გარეცხეთ წყლითა და საპნით.

შრობის დრო / გამოყენების პირობები:

+20°C ტემპერატურისა და 65% ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირები მშრალია 4-6 საათის შემდეგ, 12 საათის შემდეგ შეიძლება ხელმეორედ შეღებვა. უფრო დაბალი ტემპერატურისა და ჰაერის მაღალი ტენიანობის შემთხვევაში ეს დრო იზრდება.

ხარჯი:

10 ლ ყოფნის დაახლ. 70 მ² (დაახლ. 130 მლ/მ²)
თითო ფენაზე გლუვ, ნორმალურად შემწოვ ზედაპირზე. უხეშ ზედაპირებზე ხარჯი შესაბამისად მეტია.

დაფარვის სტრუქტურა / გაზავება:

საგრუნტი დანაფარი:
Alpina Die Bewährte für Innen, გაზავებული მაქს. 10% წყლით.
საბოლოო დანაფარი:
გაუზავებელი Alpina Die Bewährte für Innen, ან საჭიროების შემთხვევაში, მაქს. 5% წყლით გაზავებული.
დაგრუნტვა საჭიროების შემთხვევაში მასალებით: Alpina Grundierung ან Alpina Grundierung Konzentrat.

შემადგენლობა:

პოლიმერული დისპერსია, წყალი, მინერალური შემავსებლები და პიგმენტი, ადიტივები.
ევროპული ნორმების მიხედვით, ამგვარ ნაწარმში აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია (კატ. A/a) არ უნდა აღემატებოდეს 30 გ/ლ. ეს ნაწარმი შეიცავს < 5 გ/ლ VOC-ს.

Die Bewährte für Innen

ზედაპირის მომზადება

ზედაპირის მომზადება:

წყლის ჭავლების საშუალებით ან მშრალი მექანიკური წესით დანაფარის საწინააღმდეგო მიმართულებით მთლიანად მოაცილეთ ატკეცილი ფრაგმენტები, ჭუჭყის ნალექი და ობი. გაწმენდის შემდეგ ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მზიდუნარიანი და ანტიადჰეზიური ნივთიერებებისგან თავისუფალი.

კირ-ცემენტის ბათქაშები:

ახალი ბათქაში არ დაამუშავოთ 4 კვირის განმავლობაში. მყარ, ნორმალურად შემწოვ ბათქაშებზე შეასრულეთ დაფარვა დამუშავების გარეშე. უხეშ ფოროვან, შემწოვ, ოდნავ ქვიშიან ბათქაშებზე დაგრუნტვა ტარდება მასალით: Alpina Grundierung ან Alpina Grundierung Konzentrat. ძლიერ ქვიშიანი ცარცვადი ბათქაშები დაიგრუნტოს ორჯერ,
„სველი-სველზე“ მეთოდით.

თაბაშირის ბათქაშები, თაბაშირ-მუყაო, დისპერსიული ფითხი:

ჩამოხეხეთ ფითხსა და ბათქაშზე არსებული სინტერის აპკი, პანელების შეერთების ადგილები შეფითხეთ, დაშლიფეთ, გაწმინდეთ მტვრისგან. დაშლიფვის შემდგომ ყოველთვის შეასრულეთ დაგრუნტვა მასალებით: Alpina Grundierung ან Alpina Grundierung Konzentrat.

აგურის წყობა:

შემდგომ დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ ყინვაგამძლე აგური ან კლინკერის აგური, რომელიც არ შეიცავს სხვა მინარევებს. აგურებს შორის არ უნდა იყოს ბზარები და მარილის ნალექი. დაგრუნტეთ წყლით გაზავებული Alpina Die Bewährte für Innen -ით.

ლაქით, და დიპერსიული საღებავებით დაფარული მზიდი ზედაპირები:

გახეხეთ პრიალა ზედაპირები და ლაქის დანაფარები. ჭუჭყიანი, ცარცვადი ძველი დანაფარები გაასუფთავეთ წყლის ჭავლით. დაიგრუნტოს Alpina Die Bewährte für Innen -ით მაქს. 5% წყლით გაზავებული, ან Alpina Grundierung ან Alpina Grundierung Konzentrat-ით.

ზედაპირები არამზიდი დანაფარებით:

მთლიანად მოიხსნას ზედაპირი შესაფერისი საშუალებით, მაგალითად მექანიკური საშუალებებით, ჯაგრისით, ანწყლის მაღალი წნევის ჭავლით. სველი წესით წმენდისას შემდგომ დამუშავებამდე კარგად გააშრეთ ზედაპირი. დაგრუნტვა ხორციელდება შემდეგი მასალებით: Alpina Grundierung ან Alpina Grundierung Konzentrat.

ობი, ნიკოტინის, წყლის, ჭვარტლის, ცხიმის ლაქები:

ობიანი, ან სოკოიანი ადგილები გაწმინდეთ მექანიკურად სველი ჯაგრისით ან მოფხეკის გზით. დაგრუნტეთ ზედაპირები შემდეგი მასალებით: Alpina Grundierung gegen Schimmel, Alpina Expert Grundierung gegen Schimmel. საბოლოო დაფარვა შეასრულეთ მასალით Alpina Küche und Bad.
ნიკოტინის, წყლის, ჭვარტლის ან ცხიმის ლაქები: ჩამორეცხეთ წყალში ჩამატებული ცხიმგამხსნელი საყოფაცხოვრებო გამწმენდი საშუალებებით და კარგად გააშრეთ. დაიტანეთ მაიზოლირებელი გრუნტის საფარი შესაბამისი დამცავი საგრუნტავით.

ზედაპირები მცირე დეფექტებით:

მცირე დეფექტები (3 მმ-მდე) გასწორებულ/ამოვსებული იქნას Alpina Expert Feinspachtel-ით. უფრო დიდი დეფექტები დამუშავდეს სარემონტო დუღაბით. დაგრუნტეთ შეკეთებული ადგილები Alpina Grundierung, ან Alpina Grundierung Konzentrat-ით.

Die Bewährte für Innen

დამატებითი ინფორმაცია

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მუშაობისას იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განიავებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას.
თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. შეფრქვევით დამუშავებისას არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ღრუბელი. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით.

შენახვის პირობები:

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში, გრილ, ყინვისაგან დაცულ ადგილას.
ორიგინალურ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 24 თვის განმავლობაში.

უტილიზაცია:

საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

ტექნიკური ინფორმაცია № 220_D, 2018 წლის თებერვლის მდგომარეობით

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.

შპს „კაპაროლ ჯორჯია“ ფირმათა ჯგუფ DAW-ს საწარმო
ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო
ტელ: **+995 322 121 505**
ელ-ფოსტა: office@caparol.ge